

საქართველო მოსკოვი



დედაქალაქთან გარემონტებული ფაშისტთა ბანაკი 25 წლის თავი

1941 წლის ნოემბერში, ფრონტი ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე გადაჭიმულა. მტერი მოსკოვს უახლოვდებოდა. პიტლერი ვიზიტები წითელ მოედანზე თავისი ჯარების აღლუმიდან.

მაგრამ ფაშისტური გერმანიის რაიხსკანცლერის ოცნებას ფრთის შესმა არ ეწერა. მთიერ მომენტში მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა დედაქალაქის გადარჩენად — რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები...

მოსკოვის დასაცავად გმირულად იბრძოდა 197-ე მოტივსროლელი დივიზია, რომელსაც მეთაურობდა გენერალი პ. ჩანჩიბაძე, 75-ე საზღვაოსროლელი ბრიგადა პირველი რანგის კაპიტანის გ. მუსიაშვილის მეთაურობით, 133-ე მსროლელი დივიზია (მეთაური მ. კაშიშვილი). და კიდევ რამდენი ქართველი ოფიცერი, უმცროსი მეთაური, მებრძოლი...

ნოემბრის პირველ რიცხვებში, როცა საბჭოთა არმიის ნაწილებმა მტერი დედაქალაქის მისადგომებთან შეაჩერეს, წითელ მოედანზე გაიმართა ჩვენი ჯარების საზეიმო მარშები.

აღლუმი. საბჭოთა მეთორმეტე სიტყვით მიმართა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. სტალინმა. წითელი მოედნიდან სამხედრო ნაწილები პირდაპირ ფრონტისკენ, ფაშისტური ჯარების შესანუსრავად დაიძრნენ.

პიტლერი ბრძანება გასცა, რაღაც უნდა დასჯდომოდან, შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარების წინსვლა, გამაგრებულიყვნენ მოსკოვის სიბსლოვს. მაგრამ მისი გეგმა ახლაც ჩაიფრუა. საბჭოთა მეთორმეტე არხული შტურმი განახორციელეს — ნ. დეკემბრის მოსკოვთან დაიწყო ფაშისტური გერმანიის ჯარების განადგურება.

მოსკოვი უძლეველის შარავანდელი შეინიშნა!

იმ მთიერ განსაცდელის დღეებში დედაქალაქის დედაქალაქური მჯახიდებმა წამითაც არ შეწყვეტილა. მოსკოვი იბრძოდა, მოსკოვი შრომობდა, მოსკოვი დღესასწაულს ზეიმობდნენ, ჭადრაკის მაგიდებს უსხდნენ...

მოსკოვი ცხოვრობდა და, ალბათ, სწორედ ეს გაუტყულობა იყო გამარჯვების ერთ-ერთი პირველი საწინდარი.

იპ, მოსკოვთან, გაიმარჯვა არა მხოლოდ სამხედრო ხალხი, არამედ ის იყო გამარჯვება ერთი სულიანობით, ერთ ფაქტობრივად ხალხის, რომელიც თავისი ძველის გულს იცავდა.

იმ პერიოდში

1941 წლის ივნისი იყო. ახლოდებოდა მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატი და მეტ, როგორც მისი ერთ-ერთი მონაწილე, რასაკვირველია, კლეს გავიწყდავარც, სადაც ასპარეზობა უნდა გამართულიყო. ორჯონიკიძეში არც კი ვიყავი ჩასული, რომ ომი დაიწყო. კრივის თავი აბა, ვიღაცა ჰქონდა და თბილისში დაბრუნებისთანავე მივაშურე ჩემი რაიონის სამხედრო კომისარიატს. აქ სასწრაფოდ გამიზადეს საბუთები და გამაშურეს მოსკოვში, კუბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში.

სამხედრო მსადგამში სწრაფად გადადიოდა დღეები. პირველ ხანებში საბჭოთა ჯარებს უჭირდათ მტრის ჭარბ ძალებთან გამკლავება და უკან იხევდნენ.

მტერი მოიწვედა მოსკოვისკენ, რომლის დასაცავდაც მთელი ჩვენი ქვეყანა აღსდგა. მალე ჩვენი აკადემია ქ. კალინინის მიმართულებით, ნახობინოში დაბინავდა. შეუსვენებელი ვუმშაობდით, თავდაცვისთვის ვემზადებოდით. ვივლიდით, ჩვენს მიერ დადებული ყოველი აგური მტრის შესამუსრად იყო გამიზნული. სამუშაო კი თავსაყრელი და ძალზე მოქმადი იყო. დღე-ღამე ვაწარმოებდით, თითო საათით თუ მოვიცილებდით, მეგობრებს შეგვხვდებოდით. მეგობარი კი ბევრი მყავდა, — თბილისელი ნაცნობები, კოლეგები. იმ ერთ საათს ერთად ვატარებდით, ვსაუბრობდით, ქართულ სიმღერებს ვღიღინებდით.

„ჩვენ ყველანი — სამართ-ველოს კომუნისტური პარტიის აღზრდილები — ალბათ ვიცით ერთი რამდენიმე: ერთ დღეს ღამისობით და მოკლევადიან მოსკოვს მძარს არ ჩავუშვებდით ხალხი“.

მოსკოვის დაცვის მონაწილე ჩვენსონი მატარებლის მებრძოლების წერილიდან.

„მოსკოვში თითქმის აღარაფერი დარჩა. და მაინც, მე მგონია, რომ იგი უსასრულოდ შორსაა ჩვენგან. აგერ უკვე ერთი თვეა, ფრენი არ მოვიწყობია. ვინ მოხთვლის, რამდენი ჩვენი ჯარისკაცი დაიღუპა ამ ხნის მანძილზე. ამ ომში მოკლული ყველა გერმანელი გვამი რომ მოგვრდეს და გვერდ-გვერდ დააწყოს, ეს უსასრულო ზოლი, ალბათ, ბერლინსაც მისწვდება.“

გერმანელთა გვამებზე დავაბო-ჯვობთ და თოვლიან ხეებში ჩვენი დაპირულ ჯარისკაცებს ვტოვებთ“.

გერმანელი ეფრეიტორის წერილიდან.

ერთ დღეს ჩვენი ათასეულის მეთაურმა გამოიძახა და მიხრა:

— ამ დღეებში ჩვენს აკადემიაში თვითმომქმედების საღამო ვწყობა. ქართველებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

უარის თქმა დაგაპირე ჩვენ რით უნდა ვაბაზოვროთ აკადემიის კურსანტებს-მეთქი. მეთაურმა სიტყვის დამთავრება არ მაცალა.


— მე ვისმენდი ქართულად რომ მღეროდით. ვიცე, თქვენი გამოსვლა საღამოს ერთ-ერთი ყველაზე მრწყინვალე ნომერი იქნება.

რადღა მეთქვოდა. დასვენების სა-

უცხოელი მფარლის თვალით

...მოსკოვს ამ მიმე დღეებში იცავდნენ ისეთი ბრწყინვალე მხედართუფროსები, როგორიც იყვნენ გ. უშაკოვი, ი. კონევი, კ. როკოსოვსკი და ბევრი სხვა, რომლებმაც გერმანელებთან ბრძოლა ჯერ კიდევ 1941 წლის ზაფხულში იწყეს. აგრეთვე, მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია ა. ს. შჩერბაკოვის მეთაურობით. არ შეიძლება დამცირებულ იქნას, აგრეთვე, უდიდესი მნიშვნელობა სტალინისა, რომლის ყოფნამ მოსკოვში — რაც რადიოთი გამოცხადდა 17 ოქტომბერს, — დაამაინებს იმის რწმენა ჩაუნერგა, რომ მოსკოვს უთუოდ დაიცავდნენ და შესაძლოა, სტალინი არახლოდ იხე ახლო არ მისულა ხალხთან, ისე მჭიდროდ არ დაკავშირებდა ხალხს, როგორც 1941 წლის 7 ნოემბრის იმ მოღუშულ დღისას წითელ მოედანზე. გერმანელები მოსკოვიდან 40-50 კილომეტრზე იყვნენ და მაინც სტალინი ლაპარაკობდა პიტლერის ვარდულ ვანადგურებაზე. ლაპარაკობდა ისე, რომ ყველამ დაუჭერა.

ალექსანდრე ვერტი, ინგლისელი პუბლიცისტი.



იერიშმა გადაღიან მი-5 არმიის მებრძოლები.

სურათები: ზევით — მოსკოვი, 1941 წელი. დედაქალაქის მკვიდრი ბაროკოვების აგებენ; ქვეით — აი, ტექნიკა, ფაშისტმა დამპყრობლებმა მოსკოვის მისადგომებთან რომ მიატოვს 1941-1942 წლებში. საკლესის ფოტოქრონიკა.



უსიამოლობიური სვლები

1941 წლის ნოემბერში პიტლერი დივიზიები მოსკოვთან სულ ახლოს იდგნენ.

პიტლერი საქვეყნოდ გაკვირდა, საბჭოთა არმია განადგურებულია, გზა მოსკოვისკენ ხსნილია, მოსკოვი დღე-ღამე დაეცემა. მტერი განუწყვეტლავ უბრუნა ჩვენს დედაქალაქს.

სწორედ ამ განსაცდელის ეპოს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. სტალინმა დაიბარა მოსკოვის სპორტის მესვეურნი და შესთავაზა დაუყოვნებლივ დაეწყოთ ქალაქის მორაგები, XX1 საჭადრაკო ჩემპიონატი.

თითქმის ყველა მოსკოველი ოსტატი დედაქალაქის დამცველთა სახალხო ლაშქარში იყო, ფრონტის ხაზზე. ამიტომ, საასპარეზო ის მიიწვიეს, ვისზედაც ხელი მიუწვდათ.

ჩემპიონატი, რომელიც ორ წრედ ჩატარდა, 5 ოსტატი და 3 ოსტატობის კანდიდატი ჩაება.

ტურნირის მონაწილე, საერთაშორისო ოსტატი ნ. ზუბარევი ფუნდებს, მსგავსად ზუსტი და ორგანიზებული შეჯიბრება არ მახსოვს. ყველა მოჭადრაკე განსაყოფიებულია მონდობითა და შეუპოვრობით თამაშობდა. საპაერო განგაშის გამოცხადებისას კაცი არ ტოვებდა ადარბანს.

და როცა პიტლერი რადიოთი აუწყებდა მსოფლიოს, მოსკოვის დღეები დათვლილია, დედაქალაქის რადიოს ლიტორი გადმოსცემდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს ფრონტებზე მფლობარების შესახებ და შემდეგ დინჯად, დარბაისლურად საუბრობდა მოსკოვის საჭადრაკო ჩემპიონატის მორაგე ტურის შეხვედრებზე.

ალყამმორტყმული მოსკოვიდან მოჭადრაკეთა შეჯიბრებაზე გადაცემებს უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ლხვარი იყო მტრისთვის, საბჭოთა ხალხს კი სიმხვევს მატებდა, იმედს უნერგავდა.

ჩემპიონატი დეკემბერშიც გრძელდებოდა. მოჭადრაკეები ფინიშიდან მაშინ მივიდნენ, მოსკოვის დამცველებმა რომ მტერი განადგურეს. ჩემპიონის სახელი მოიხვეჭეს ლიტენინტმა, ოსტატმა ი. შაიშვილისმა — 10,5 ქულა 14-დან (იგი შემდეგ ფრონტზე დაიღუპა). მომდევნო ადგილები დაიკავეს ოსტატებმა: ვ. პეტროვმა (9,5), ვ. პანოვმა (9), ვ. ალტორცევმა (8,5), ე. ზაგორიანსკიმ (6,5), ნ. ზუბარევი (6).

— ეს იყო დაუეწყარი დღეები, — წერს ნ. ზუბარევი. — მოჭადრაკეთა ჩემპიონატი კიდევ ერთხელ დანახვა მსოფლიოს საბჭოთა ქვეყნისა და მისი გულადი ხალხის უძლეველობა.

მოსკოვის ტურნირები 1942, 1943 წლებშიც გაიმართა, ხოლო სტალინგრადას ეპოპის დამოაგრებიანს, 1944 წელს, სსრ კავშირის ჩემპიონატიც კი ჩატარდა.

თ. გიორგაძე.

საკლესის ფოტოქრონიკა.

საქართველოს ტრადიციული ანკაბა

ისევ ირავა!

საქართველოს პირველი ანკაბა — „წლებიანი... საქართველოს სპორტსმენი ქალი“ — შარშან დიდი რეზონანსი გამოიწვია...

- სეზონის უძლიერეს სპორტსმენ ქალთა ათეულში? 1. ირანა პირველი (პოლონეთი) — 106 ქულა...



უახვევის დედაქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების მხატვრულ ტანმოვარჯიშითა...

ფეხბურთის მერიდიანებზე

ოდასა, 3 დეკემბერი. აქ გამართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჩერნომორცი“ და ხოვუვის „რუხი“...

რაბათი, 3 დეკემბერი. რუსურ-ს ნაკრებმა თავისი ტურნეს უკანასკნელ მატჩში მარკოს დედაქალაქში ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან გამართა...

თბილისი, 3 დეკემბერი. ბოლო მატჩი ერევნის „არარატის“ ფეხბურთელებს ირანის შარშანდელ ჩემპიონთან — „მანთან“ ქონდათ და წაგეს — 0:2...

საიუბილო ტურნირის ფინიში

ლენინგრადში დამთავრდა საბჭოთა კალათბურთის 60 წლისთავსადმი მიძღვნილი ტურნირი. ბოლო ტურის შედეგები ასეთია: ქალები. უკრაინა — ლატვია 56:48 (27:32), ვაჟები. მოსკოვი — ლიტვა 66:59 (37:36), ლატვია — უკრაინა 64:53 (28:19), საქართველო — ლენინგრადი 63:53 (28:32)...



სტარტს სვილები მუღამ გაეარჯიებინ რწმენით!

სელმდგანელობას უნდა ეფუძნებოდეს თარჯიმანი, სიგარეტზე და სიმაღლეზე სტომა, ხტუნვა ცალ ფეხზე, კრისი ტყეში, საოპორტოლო შეჯიბრებებში მონაწილეობა — აი, ჩემი მზადების შინაარსი...

სუვე მესამე წელია, ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ და პოლიტიკურ ეკონომიკის ფაკულტეტზე სტუდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. მე 20 წლის ვარ. დაიბადე 1946 წელს, ლენინგრადში, სადა ჩემი მშობლები ომის დროს ჩავიდნენ...

საკლესის სპორტული რედაქცია სიტყვას აძლევს ირანა პირველსტეინს. არასდროს მიკითხავს ჩემი თავისთვის: როგორ დარბიხარ ასე სწრაფად...

საქართველოს სპორტული რედაქცია

მოსკოვი, 3 დეკემბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის XII ჩემპიონატი ასუტრიან შაშხი. უძლიერესის სახელი — ზედიხედ მეორე წელია მოიპოვა რიგგულად დიდოსტატმა, 24 წლის ა. ანდრეიკოვმა...

მოსკოვი, 3 დეკემბერი. ხვალ აქ იწყება ცნობილი საბჭოთა ჩოგბურთელების, წყვილით თამაშში სსრ კავშირის ექვსეულის ჩემპიონის ზ. ზიგმუნდის მეგობარი...

ბოზნა, 2 დეკემბერი. აქ გამართულ მატჩში საბჭოთა ქალთა მატჩის მატჩიანი წინა კატეგორიებში I ადგილები დაიკავეს...

მელტონი, 2 დეკემბერი. 18 წლის მოსწავლე ვერა ნიკოლიჩი იუგოსლავიელი ფურნალისტებმა და სპორტის მოყვარულებმა თავიანთი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს წლებიანი სეზონის მისვლით...

ბრალა, 2 დეკემბერი. აქ გამართა ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ახალგაზრდა ტანმოვარჯიშითა ამხანაგური მატჩი. გამარჯვებს სტუმარებმა — 280,40:279,15...

ტოკიო, 2 დეკემბერი. ფრანგულულ ქალთა V მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ განაცხადების ვადის ამოწურვის მომენტში შეჯიბრებაში მონაწილე ქვეყნების სია ასე გამოიყურება: სსრ კავშირი, ბერძენი, ჩინეთი, პოლონეთი, კუბა, აშშ, უნგრეთი, გერმ. ჩეხოსლოვაკია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, სამხრეთ კორეა, იაპონია...



სიღნაღი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ორი ბარწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ახალგაზრდა სპორტსმენი ქალი ა. ლამიძე. 100 მეტრზე მან 11,4 აჩვენა, ხოლო 200 მეტრზე — 23,5...